სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/05

ქ. თბილისი 26 თებერვალი 2021

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრის, შალვა ნაჭყებიასთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრის შალვა ნაჭყებიას პირადი განცხადებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 თებერვლის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეუწყდეს სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრის უფლებამოსილება პროფესორს, შალვა ნაჭყებიას, სტუ-ის აკადემიურ საბჭოს წევრად არჩევის გამო;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე